KA030174686025720

№ 01-6066 **12 / ივნისი / 2020 წ.**

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან
დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური
დაცვის მინისტრს, ქალბატონ ეკატერინე ტიკარაძეს

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან
დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური
დაცვის მინისტრის პირველი მოადგილის
თამარ გაბუნიას

მოხსენებითი ბარათი

ქალბატონი ეკატერინე,

საქართველოს უკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიმდინარე წლის 28 მაისს, N06/2380 წერილით მომართა სსიპ "ლ.საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის" დირექტორმა ამირან გამყრელიძემ ოპერატიული რეპრეზენტატული კვლევების ჩატარების თაობაზე.

როგორც მოგეხსენებათ, COVID-19-ის მართვის მიმდინარე ეტაპზე, როდესაც ქვეყანაში შექმნილია ეპიდსიტუაციის მართვისა და შეფასების მდგრადი მოდელი, ასევე მნიშვნელოვანია სიტუაციის შეფასება სხვა ალტერნატიული საშუალებებით, მაგ.: ოპერატიული რეპრეზენტატული კვლევებით, რაც გამოყენებულ უნდა იქნას როგორც ეპიდსიტუაციის მდგრადობის ან განგაშის სასიგნალო სისტემა.

საზაფხულო-საშემოდგომო ტურისტული სეზონის მიმდინარეობისას, გარდა მიმდინარე ეპიდზედამხედველობისა, შემთხვევითი შერჩევით წარმოებული ოპერატიული კვლევები COVID-19-ის არსებობაზე და გადატანის სტატუსზე მოქვცემს შესაძლებლობას რეალურ დროში შეფასდეს არსებული რისკები და მიზანმიმართულად იქნას გამოყენებული პრევენციის გარკვეული ღონისძიებები დაავადების გავრცელების შეჩერების მიზნით.

ცენტრის წინასწარი გათვლებით, ტურისტულად განსაკუთრებით აქტიურ 15-20 მუნიციპალიტეტში განმეორებითი ანტიგენ-ანტისხეულების კვლევით სავარაუდოდ დაფარულ უნდა იყოს თითოეულ მუნიციპალიტეტში 150-200 შემთხვევით შერჩეული საკვლევი პირი. ასევე სასურველია თუ კვლევების განმეორება მოხდება 1,5-2,5 თვეში. შესაძლოა კვლევების დაგეგმვა და ოპერატიულად განხორციელების საჭიროება შეიძლება წარმოიქმნეს მყისიერად, რომელიმე ლოკაციაზე (მუნიციპალიტეტში) ეპიდსიტუაციის გაუარესებისას ან საზოგადოებრივი აქტივობების განხორციელების მიზნით არსებული სიტუაციის შეფასებისას.

ამგვარი მეთოდოლოგიით, ერთი მუნიციპალიტეტის შესწავლა ანტიგენ-ანტისხეულის სწრაფი ტესტირებით და კვლევის ალგორითმის შესაბამისად, საჭიროებისას პჯრ-ს ჩართვით, შესაძლოა დაჯდეს დაახლოებით 10000 აშშ$-ის ექვივალენტი ლარში. ამგვარად, ერთჯერადი ოპერატიული კვლევა მხოლოდ ტურისტულად აქტიურ მუნიციპალიტეტებში დაახლოებით 150 000-200 000 აშშ$-ის დანახარჯთან იქნება დაკავშირებული: ტესტ-სისტემების შეძენის, საველე სამუშაოთა დაგეგმვის, ორგანიზებისა და მონაცემთა ანალიზის ჩათვლით.

რამდენადაც, ოპერატიული საველე კვლევების წარმოება მოითხოვს დამატებით ინვესტიციებს, მიზანშეწონილად მიგვაჩნია ამგვარი ხარჯი გათვალისწინებულ იქნას მსოფლიო ბანკის სასესხო ხელშეკრულების (რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკსა (IBRD) და საქართველოს შორის სასესხო შეთანხმება "COVID-19-ის წინააღმდეგ სწრაფი რეაგირების პროექტი“ და საქართველოსა და აზიის განვითრების ბანკს (ADB) შორის სასესხო შეთანხმება „COVID-19-ზე საგანგებო რეაგირებისა და დანახარჯების მხარდამჭერი პროგრამა“) ფარგლებში, რაც სასარგებლო ინვენსტიაცია იქნება COVID-19-ის კონტროლის, ქვეყნის ტურისტული პოტენციალის აღორძინების, ეკონომიკის მდგრადობისა და შემდგომი სეზონისთვის მზადების თვალსაზრისით.

გთხოვთ თქვენს გადაწყვეტილებას, მსოფლიო ბანკის პროექტების განმახორციელებელ ერთეულთან ერთად, განხილულ იქნეს ზემოაღნიშნული ღონისძიებების სასესხო ხელშეკრულებების ფარგლებში განხორციელების შესაძლებლობა.

პატივისცემით,